

**ი- ლ ე- პრეზიუსაბიანი ვნებითი გვარის ზმნავის გრაპოლოგითი ჩიხხვის
შორმათა ნარმოვაბა რმ-პილოთა II ჯგუზში**

(ისინი დაიმაღნენ თუ დაიმაღენ? დაემაღნენ თუ დაემაღენ მას? დაესწრნენ
თუ დაესწრენ? შეეჩვივნენ თუ შეეჩვიენ მას?)

1. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში -ნენ დაბოლოებას ვხვდებით
ნამყო ძირითადას (წყვეტილსა) და კავშირების მეორეში ი- და ე- პრეფიქსებით
ნაწარმოებ ვნებითში:

აწყყო: ის იმალება, იზრდება, იწერება...

ის მას ემალება, ეზრდება, ეწერება... ესწრება, ეჩვევა...

ნამყო ძირითადი (წყვეტილი): ისინი დაიმაღნენ, დაიზარდნენ, დაიწერენ ან
დაიმაღლნენ, დაიზარდნენ, დაიწერნენ...

ისინი დაემაღნენ, დაეზარდნენ, ჩაეწერნენ, დაესწრნენ, შეეჩვივნენ ან ისინი დაე-
მაღლნენ, დაეზარდნენ, ჩაეწერნენ, დაესწრნენ, შეეჩვივნენ...

კავშირებითი II: ისინი რომ დაიმაღლონ (დაიმაღლნენ), დაიზარდონ (დაიზარდ-
ნენ), დაიწერონ (დაიწერნენ)...

ისინი რომ დაემაღლონ (დაემაღლნენ), დაეზარდონ (დაეზარდნენ), ჩაეწერონ
(ჩაეწერნენ), დაესწრონ (დაესწრნენ), შეეჩვიონ (შეეჩვივნენ)...

2. ი- და ე- პრეფიქსებიან ვნებითში -ნ- ძველთაგანვე იყო ნამყო ძირითად-
სა (წყვეტილსა) და კავშირებითს მეორეში, ოღონდ მრავლობითი რიცხვის პირ-
ველსა და მეორე პირში იყო -ენ სუფიქსი, მესამე პირში ეს -ენ სუფიქსი კარგავ-
და ე-ს და ილებდა ნ-ს სახეს:

შდრ. ძველი ქართულის ნამყო ძირითადი (წყვეტილი) და კავშირებითი II
ახალი ქართულისას:

ნამყო ძირითადი (წყვეტილი)

ძველ ქართულში:

მე დავიმაღე

შენ დაიმაღე

იგი დაიმაღა

ჩვენ დავიმაღლ-ენ-ი-თ

თქვენ დაიმაღლ-ენ-ი-თ

იგინი დაიმაღლ-ენ-ეს

მე დავემაღე მას

შენ დავემაღე მას

იგი დავემაღა მას

ჩვენ დავემაღლ-ენ-ი-თ მას

თქვენ დავემაღლ-ენ-ი-თ მას

იგინი დავემაღლ-ენ-ეს მას

ახალ ქართულში:

მე დავიმაღე

შენ დაიმაღე

ის დაიმაღა

ჩვენ დავიმაღლეთ

თქვენ დაიმაღლეთ

ისინი დაიმაღლ-ენ ან დაიმაღლ-ნენ

მე დავემაღე მას

შენ დავემაღე მას

ის დავემაღა მას

ჩვენ დავემაღლეთ მას

თქვენ დავემაღლეთ მას

ისინი დავემაღლ-ენ ან დავემაღლ-ნენ

ძველ ქართულში:

მე დაეიმალო
შენ დაიმალო
იგი დაიმალოს
ჩვენ დაეიმალ-ნ-ეთ-თ
თქვენ დაიმალ-ნ-ეთ-თ
იგინი დაიმალ-ნ-ენ-ნ
მე დაეემალო მას
შენ დაემალო მას
იგი დაემალოს მას
ჩვენ დაეემალ-ნ-ეთ მას
თქვენ დაემალ-ნ-ეთ მას
იგინი დაემალ-ნ-ენ მას

ახალ ქართულში:

მე დაეიმალო
შენ დაიმალო
ის დაიმალოს
ჩვენ დაეიმალო-თ
თქვენ დაიმალო-თ
ისინი დაიმალო-ნ
მე დაეემალო მას
შენ დაემალო მას
ის დაემალოს მას
ჩვენ დაეემალო-თ მას
თქვენ დაემალო-თ მას
ისინი დაემალო-ნ მას

3. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი მ ე ო რ ი ს საკითხი გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს. დაეიმალოთ, დაიმალოთ, დაიმალონ... დაეეწით, დაეწით, დაეწიონ—გაბატონებული ფორმებია (დაეიმალ-ნეთ, დაიმალნეთ, დაიმალნენ... დაეეწინეთ, დაეწინეთ, დაეწინენ — კავშირებით მეორეში იშვიათად თუ შეგვხვდება)

ნამყო ძირითადის (წყვეტილის) I და II პირის მრავლობითის წარმოებისას -ენ-იანი ფორმები (დაეიმალენით, შეეიყარენით, დაეეკითხენით) დღეს სალიტერატურო ენაში აღარ იხმარება; გაბატონებულია უამსუფიქსო ფორმები (ჩვენ ვიყავით, დაეიმალეთ... თქვენ იყავით, დაიმალეთ... და არა: ჩვენ ვიყვენით, დაეიმალენით... თქვენ იყვენით, დაიმალენით...).

მესამე პირში კი -ნ-იანი ფორმა ძირითადია გავრცელების მიხედვით (ისინი იყვნენ, დაიმალნენ, დაემალნენ...) მიუხედავად იმისა, რომ პირველსა და მეორე პირში ამ ნ-ს საყრდენი (-ენ სუფიქსი) გამოეცალა.

ამისდა მიხედვით:

1. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში -ნ-ენ-იანი ფორმა უნდა დარჩეს ნამყო ძირითადის (წყვეტილის) მრავლობითის მესამე პირში, რადგანაც: ა) გრამატიკულად სწორია (აქვს ხანგრძლივი ისტორია) და ბ) ძალზე გავრცელებულია. მაშასადამე, უნდა იყოს: ისინი დაიმალნენ, დაემალნენ; დაიხოცნენ, დაეხოცნენ; დაიწერნენ, დაეწერნენ, დაესწერნენ, დაეხმარნენ, იყვნენ (და არა: ისინი დაიმალენ, დაემალენ, დაესწერენ, დაეხმარენ, იყვენ...).

2. ამ შემთხვევაში, როცა ი- და ე- პრეფიქსით ნაწარმოებ ვნებითი გვარის ზმნებს აწმყოში -ევ სუფიქსი აქვს, ეს სუფიქსი ნამყო ძირითადში (წყვეტილში) მრავლობითის მესამე პირში ნ-ს წინ -იგ-ის სახეს მიიღებს:

აწმყო: ის ეწევა, ეჩვევა, ეხვევა, ეწვევა...

ნამყო ძირითადი (წყვეტილი): ის დაეწია, შეეჩვია, მოეხვია, ეწვია, მაგრამ ისინი დაეწინენ, შეეჩვინენ, მოეხვინენ, ეწვინენ.

ამრიგად: ი- და ე- პრეფიქსებიანი ვნებითი გვარის ზმნების უღვლილება ნამყო ძირითადსა (წყვეტილსა) და კავშირებით II-ში ასეთი იქნება:

ნამყო ძირითადი (წყვეტილი)

მე დავიმალო
შენ დაიმალო
ის დაიმალო
ჩვენ დავიმალოთ
თქვენ დაიმალოთ
ისინი დაიმალონ

ნამყო ძირითადი (წყვეტილი)

მე დავემალო მას
შენ დაემალო მას
ის დაემალო მას
ჩვენ დავემალოთ მას
თქვენ დაემალოთ მას
ისინი დაემალონ მას

ნამყო ძირითადი (წყვეტილი)

მე შევეჩვიე მას
შენ შეეჩვიე მას
ის შეეჩვია მას

ნამყო ძირითადი (წყვეტილი)

ჩვენ შევეჩვიეთ მას
თქვენ შეეჩვიეთ მას
ისინი შეეჩვივნენ მას

კავშირებითი II

მე დავიმალო
შენ დაიმალო
ის დაიმალოს
ჩვენ დავიმალოთ
თქვენ დაიმალოთ
ისინი დაიმალონ

კავშირებითი II

მე დავემალო მას
შენ დაემალო მას
ის დაემალოს მას
ჩვენ დავემალოთ მას
თქვენ დაემალოთ მას
ისინი დაემალონ მას

კავშირებითი II

მე შევეჩვიო მას
შენ შეეჩვიო მას
ის შეეჩვიოს მას

კავშირებითი II

ჩვენ შევეჩვიოთ მას
თქვენ შეეჩვიოთ მას
ისინი შეეჩვიონ მას